საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

06/02/2026

MES 7 26 0000129426

გადაწყვეტილება

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2025 წლის 24 ოქტომბრის №1567430 ოქმის მე-7 ნაწილში ტექნიკური ხარვეზების გასწორების შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 23 იანვრის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2025 წლის 24 ოქტომბრის №1567430 ოქმის მე-7 ნაწილის გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების 27 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, 2 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, "ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 კალენდარული დღის ვადა.

აკრედიტაციის საბჭომ, დაწესებულებას განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის კურიკულუმში და დოკუმენტში „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა" მითითებული პროგრამის მიზნები და ამავე დოკუმენტებში მითითებული პროგრამის სწავლის შედეგები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის დადგენის და „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკის" გამოყენების შესაძლებლობას (1.2).
- რეკომენდებულია გადამუშავდეს სასწავლო კურსი „მსოფლიო ისტორიის აქტუალური პრობლემები", კურსის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის სახელწოდებასთან და გამდიდრდეს უახლესი ლიტერატურით.

- რეკომენდებულია სასწავლო კურსების გადახედვა უახლესი გამოცემების დამატების მიზნით (1.5).
- რეკომენდებულია არჩევითი სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში გასწორდეს შეფასების კრიტერიუმები, გახდეს არასტანდარტიზებული და შეესაბამებოდეს სადოქტორო საფეხურზე სწავლების სპეციფიკას (2.4).

2. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 06 თებერვლის№129341 ოქმის №11 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ - გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე